

ოქმი № 2

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2009 წლის 5 თებერვლის სხდომა

სხდომას ესწრებოდნენ

საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი, რ. ბანცური, რ. დუდუჩავა, მ. ელიაშვილი,
ლ. ეფრემიძე, ხ. ინასარიძე, ნ. ინასარიძე, ვ. კოკილაშვილი, მ. მანია, ნ.
შავლაყაძე, ო. ჭკადუა, მ. ჯიბლაძე, ს. ხარიბეგაშვილი, ო. ჯოხაძე

სათათბირო ხმის უფლებით: ნ. ფარცვანია (ინსტიტუტის დირექტორი).

საბჭოს მდივანი ლ. გოგოლაური

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. ინსტიტუტის საშტატო განრიგის დამტკიცება.
2. ინსტიტუტის სამეცნიერო განყოფილებების 2008 წლის ანგარიში.
3. ინსტიტუტის საპატიო თანამშრომლების არჩევა.
4. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს** ინსტიტუტის დირექტორის ნ. ფარცვანიას ინფორმაცია ინსტიტუტის საშტატო განრიგის შესახებ. განრიგი 14 იანვრის სხდომაზე შეთანხმდა სამეცნიერო საბჭოსთან, შემდგომი შეთანხმებისათვის გადაეგზავნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. ამჟამად განრიგი სამინისტროსთან შეთანხმებულია და ინსტიტუტის წესდების თანახმად საჭიროა მისი საბჭოზე დამტკიცება.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა ინსტიტუტის საშტატო განრიგი.

2. **მოისმინეს** განყოფილებების სამეცნიერო ანგარიშები:

დიფერენციალური განტოლებების განყოფილება ნ. ფარცვანია;

ალგებრის განყოფილება ხ. ინასარიძე;

მათემატიკური ფიზიკის განყოფილება რ. დუდუჩავა;

მათემატიკური ანალიზის განყოფილება ვ. კოკილაშვილი;

თეორიული ფიზიკის განყოფილება მ. ელიაშვილი;

დრეკადობის მათემატიკური თეორია რ. ბანცური;

მათემატიკური ლოგიკის განყოფილება მ. ჯიბლაძე;

ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილება მ. მანია;

გეომეტრიისა და ტოპოლოგიის განყოფილება თ. ქადეიშვილი.

საბჭომ დაამტკიცა წარმოდგენილი ანგარიშები.

3. **მოისმინეს** თ. ქადეიშვილის წინადადება ინსტიტუტის საპატიო თანამშრომლების არჩევის შესახებ. ინსტიტუტის ძველი წესდების მოქმედების პერიოდში საპატიო თანამშრომლები იყვნენ ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლები, როლებიც ამჟამად უცხოეთში მოღვაწეობენ: თ. ფირაშვილი, გ. ჯანელიძე, ი. გუბელძე, ე. ხმალაძე. ინსტიტუტის ახალი წესდების თანახმად საჭიროა საპატიო თანამშრომლების საბჭოზე არჩევა.

საბჭომ ერთხმად აირჩია თ. ფირაშვილი, გ. ჯანელიძე, ი. გუბელძე, ე. ხმალაძე ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის საპატიო თანამშრომლებად.

4. მოისმინეს ინფორმაცია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გამოცხადებული წევრ-კორესპონდენტის ვაკანსიის შესახებ. გაიმართა მსჯელობა საბჭოს მიერ კანდიდატების წარდგენის პროცედურის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარე

თ. ქადეიშვილი

საბჭოს მდივანი

დ. გოგოლაური